



ფარისებრი ჯირკვალი და ორსულობა

სტატიის ავტორი: ენდოკრინოლოგი ნათია ვაშაყმაძე

ორსულობა ყველა ქალისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ამ დროს მრავალი ფიზიოლოგიური და ჰორმონული ცვლილება ხდება ორგანიზმში, რომელიც გავლენას ახდენს ენდოკრინულ სისტემაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ორსულობის გავლენა ფარისებრ ჯირკვალზე და თავის მხრივ, ფარისებრი ჯირკვლის გავლენა ორსულობის მიმდინარეობაზე.

ფარისებრი ჯირკვალი პეპლის ფორმის ორგანოა, რომელიც განლაგებულია კისრის წინა ზედაპირზე. მისი მთავარი ფუნქციაა, გამოიმუშავოს ორი ჰორმონი - თიროქსინი (T4) და ტრიოდთირონინი (T3). ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები გავლენას ახდენენ ორგანიზმში მიმდინარე პრაქტიკულად ყველა მეტაბოლურ პროცესზე და არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლის სიჩქარეს. ფარისებრი ჯირკვალი თავის მხრივ რეგულირდება თავის ტვინის მიერ, კერძოდ თავის ტვინში არსებული ენდოკრინული ჯირკვალი ჰიპოფიზი გამოიმუშავებს ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელ ჰორმონს, ყველასთვის კარგად ცნობილ TSH-ს და ამ გზით არეგულირებს ამ ორგანოს მუშაობას. ნორმაში TSH, FT4 და FT3 ბალანსშია და მათი დონე სისხლში უნდა შეესაბამებოდეს ლაბორატორიის მიერ მითითებულ ნორმის ფარგლებს.



მოდით, კითხვა პასუხის რეჟიმში გავყვეთ ფარისებრი ჯირკვლის ფიზიოლოგიურ ცვლილებებს ორსულობისას, ხოლო შემდეგ ნაწილში კი განვიხილავთ რა გავლენა აქვს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებას - ჰიპოთირეოზს და ფუნქციის გაზრდას - თირეოტოქსიკოზს ორსულობაზე.


-რა ცვლილებებია მოსალოდნელი ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურასა და ფუნქციაში ორსულობის დროს?

ორსულობისას ფარისებრი ჯირკვალი შესაძლოა გაიზარდოს ზომაში 10-20%-ით საწყის ზომასთან შედარებით, ამის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ულტრაბგერითი (ექოსკოპიური) კვლევით, თვალით და ხელით გასინჯვით ამის შემჩნევა შეუძლებელია. ორსულობისას ფარისებრი ჯირკვლის ზომაში ზრდა უხშირესად იოდ დეფიციტურ რეგიონებში ხდება. რაც შეეხება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას, ორსულობისას მასზე გავლენას ახდენს ორი უმნიშვნელოვანესი ჰორმონი, რომელთა დონეც სისხლში ორსულობის გამო იმატებს, ესენია: ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი და ესტროგენი. ქორიონული

გონადოტროპინის მაღალი დონე ასტიმულირებს ფარისებრ ჯირკვალს, რომ გამოყოს საკმარისი რაოდენობით ჰორმონები, რის გამოც შესაძლოა პირველ ტრიმესტრში TSH ნორმასთან შედარებით მსუბუქად დაქვეითებულიც კი იყოს - ამას სუბკლინიკური თირეოტიკოზი ეწოდება, რომელიც დროებითი, გარდამავალი პროცესია და მეორე და მესამე ტრიმესტრში ნორმას უბრუნდება. არაორსულ პირებში TSH უნდა იყოს 0,4-4,0 $\mu\text{IU/L}$, თუმცა რამდენადაც ორსულობის პერიოდში მოთხოვნილება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებზე იზრდება, TSH-ს სხვადასხვა ნორმები აქვს ტრიმესტრების მიხედვით. ამერიკის თირეოიდოლოგთა ასოციაციის მიხედვით, პირველ ტრიმესტრში TSH მაჩვენებელი უნდა იყოს 0,1 -2,5 $\mu\text{IU/L}$ -მდე, მეორე ტრიმესტრში - 0,2-3 $\mu\text{IU/L}$, ხოლო მესამე ტრიმესტრში 0.3-დან 3 $\mu\text{IU/L}$ არ უნდა აღემატებოდეს. ესტროგენები გავლენას ახდენენ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების შემზოჭველი ცილების დონეზე სისხლში, ამდენად ორსულობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ მოხდეს თიროქსინისა და ტრიიოდთირონინის თავისუფალი (ცილასთან არ დაკავშირებული) ფრაქციების განსაზღვრა სისხლში. ფარისებრი ჯირკვალი ფუნქციონირებს ნორმალურად როდესაც TSH შეესაბამება ტრიმესტრის შესაბამის ნორმას და FT4 (თავისუფალი თიროქსინი) და FT3(თავისუფალი ტრიიოდთირონინი) ნორმაშია.

- რა გავლენას ახდენს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები ნაყოფსა და დედაზე?

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს როგორც ორსულობის გაურთულებლად მიმდინარეობაში, ასევე ნაყოფის ნორმალურ ზრდა-განვითარებაში. კერძოდ, ფარისებრის ჰორმონების ნორმალური დონე კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნაყოფის ტვინის ნორმალური განვითარებისთვის. ახალშობილები რომლებიც იზადებიან თანდაყოლილი ჰიპოთირეოზით (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის არ არსებობა) შესაძლოა განუვითარდეთ მძიმე ნევროლოგიური, ინტელექტუალური და განვითარების ანომალიები. ამ განვითარების პათოლოგიების თავიდან აცილება შესაძლებელია პრობლემის დროული აღმოჩენით. მნიშვნელოვანი აღვნიშნოთ, რომ ორსულობის პირველი 10-12 კვირა ნაყოფი მთლიანად დამოკიდებულია დედის ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებზე, ხოლო შემდგომ თავადაც იწყებს საკუთარი ფარისებრის ჰორმონების წარმოქმნას. თუმცა, იმისათვის, რომ საკუთარი ჰორმონები საკმარისად წარმოქმნას აუცილებელია, რომ დედა იღებდეს საჭირო ოდენობით იოდს.



- რა არის იოდის ის ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც უნდა მიიღოს ორსულმა ქალმა?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ორსული ქალი დღიურად უნდა იღებდეს 200 მკგ იოდს, რომ მოხდეს ორსულისა და ნაყოფის მოთხოვნილების

დაკმაყოფილება იოდზე. რამდენადაც საქართველო იოდ დეფიციტურ რეგიონს მიეკუთვნება, როგორც წესი, ორსულობის დაგეგმვისას ან ორსულობის დადგომისთანავე ინიშნება იოდის დანამატები, რათა თავიდან იქნას არიდებული იოდ დეფიციტური ჰიპოთირეოზი (იოდით განპირობებული ფარისებრი ჯირკვლის არასაკმარისი ფუნქციონირება); თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებისა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემების მიხედვით ეს საკითხი ბოლომდე ნათელი არ არის და ძველი და ახალი მონაცემები ურთიერთსაპირისპიროა. ამიტომ ორსულობისას იოდის დანამატების მიღების საკითხი აუცილებლად ენდოკრინოლოგთან შეთანხმებითა და რეკომენდაციით უნდა გადაწყდეს.